

## თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება

(გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი,  
„მომავლის სახლი“, „სათნოება“ და „ლამპიონი“)

შეფასების ანგარიში - დანართები

ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“

და

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით

აპრილი 2007, თბილისი

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგმები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## დანართები - სარჩევი

დანართები .....	3
დანართი 1 – შეფასებული ცენტრების მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია .....	3
დანართი 2 – შეფასების გეგმა და სახელმძღვანელო პრინციპები .....	4
დანართი 3 – ინფრასტრუქტურაზე დაკვირვების ცხრილი .....	16
დანართი 4 – დოკუმენტაციის შემოწმების ცხრილი .....	18
დანართი 6 - კითხვები ინდივიდუალური ინტერვიუსათვის თანამშრომლებთან .....	38
დანართი 7 - კითხვები ფოკუს-ჯგუფისათვის .....	44

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგმები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## დანართები

### დანართი 1 – შეფასებული ცენტრების მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია

ცენტრი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	საკონტაქტო პირი
„სათნოება“	ცისკარიშვილის ქ. №3	877 43 04 15 70 20 09	ანგელინა ბერიაშვილი
„ლამპიონი“	ვარკეთილი 3, III გ/რნ	893907735 79 86 40	ციური ქარელიძე
გლდანის ბაგჭვთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	ქერჩის ქ. №4	899 16 25 17 62 33 49	ქოუგან კობალაძე
„მომავლის სახლი“	წერწეშიას ქ. №13	877 75 49 92	გვანცა ლიპარტელიანი

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## დანართი 2 – შეფასების გეგმა და სახელმძღვანელო პრინციპები

### 1. ცენტრის ბენეფიციარები

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
1. განსაზღვრული აქვს თუ არა ცენტრს მიზნობრივი ჯგუფი (ასაკის და მოწყვლადობის ფაქტორების მიხედვით)?	- კითხვარი თანამშრომლებისათვის - ჩანაწერები ბენეფიციარების შესახებ - ცენტრის წესდება ან მისი მსგავსი დოკუმენტი	დოკუმენტები 1.1 - 1.4 დოკუმენტები 3.2, 3.3 თანამშრომლები I - 1	ცენტრი განცემილია ქუჩის ბავშვების დასახმარებლად (ბავშვები, რომლებიც ცენტრში მოხვდნენ ქუჩაში ცხოვრების შემდეგ). ბავშვები განისაზღვრება, როგორც 18 წლამდე ასაკის პირები. მონიტორინგის ამოცანაა, გადამოწმდება, ფიქრობენ თუ არა თანამშრომლები, რომ ორივე კრიტერიუმი გამოხატავს ცენტრის მისიას და ბენეფიციარები ჯდებიან თუ არა ამ კრიტერიუმების ფარგლებში.
1.2. რამდენი ბენეფიციარი ყვავს ცენტრს: а) ყოველდღიურად; ბ) ყოველთვიურად, გ) ყოველწლიურად.	- ბენეფიციარების სიები	დოკუმენტები 2.1-2.6	თუ შესაძლებელია, მონაცემები უნდა იძლეოდეს სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაყოფის შესაძლებლობას (უნდა იყოს ხუთი ასაკობრივი ჯგუფი: 6 წლამდე, 6-დან 9-მდე, 9-დან 12-მდე, 12-დან 16-მდე და 16 წელს ზევით)
1.3. რა არის ბენეფიციარების პრობლემები და როგორ ხდება ამ პრობლემების განსაზღვრა?	- ჩანაწერები ბენეფიციარების შესახებ - კითხვარი თანამშრომლებისათვის - ბენეფიციარების ფორმას ჯგუფი	დოკუმენტები 3.1, 3.4, თანამშრომლები I - 2, 3	ცენტრმა ინდივიდუალურად უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს აქტივობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ბავშვებს, დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას. ამოცანაა, განისაზღვროს: 1)თუ არსებობს შემთხვევების ინდივიდუალური მართვის (Individual case management) სისტემა; 2) მორგებულია თუ არა ღონისძიებები თითოეული ბენეფიციარის საჭიროებებზე; 3) იდებენ თუ არა ბენეფიციარი ბავშვები აქტიურ მონაწილეობას იმის განსაზღვრაში, თუ რა სახის ჩარევა ჩატარდება მათვების/მათთან.
1.4. რა გზით ხვდება ბენეფიციარი ცენტრში? (მიმართვები)	- ჩანაწერები ბენეფიციარების შესახებ - კითხვარი	დოკუმენტები 3.1, 3.5 -3.7 თანამშრომლები I- 4	მიზანია განისაზღვროს ცენტრში ბენეფიციარის მოხვედრის (მიმართვის) ისეთი გზები, როგორიცაა: საპატრულო პოლიცია, სხვა ორგანიზაციები/უწყებები, ცენტრის საქუთარი ღონისძიებები (თუ არსებობს), ოჯახის წევრები და უშუალოდ ბავშვების საქუთარი სურვილით

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეცასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
	თანამშრომლებისათვის		მოსვლა.
1.5. აქვს თუ არა ცენტრს მიღებისა და გაწერის კრიტერიუმები ბენეფიციარი ბავშვებისათვის და ასეთი კრიტერიუმების გადამოწმების მექანიზმები?	- მიღების/გაწერის წერილობითი კრიტერიუმები (თუ არსებობს) - კითხვარი თანამშრომლებისათვის	დოკუმენტები 4.1-4.8 თანამშრომლები I - 5 – 10, 16	მიზანია განისაზღვროს: 1) ემსახურება თუ არა ცენტრი იმ ბენეფიციარებს, რომელთაც უნდა ემსახუროს, 2) რომ ცენტრი არ იტოვებს ბავშვებს განუსაზღვრელი დროით, არამედ აქვს გადამოწმებადი ინდიკატორების სისტემა, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ, როდის არის ბავშვი მზად გაწერისათვის, 3) არსებობს თუ არა მიღება/გაწერის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები (როგორიცაა მულტიდისციპლინარული გუნდის შეხვედრები); 4) არსებობს თუ არა ცენტრიდან ბავშვებისა და საკუთარი სურვილით წასული ბავშვების შემდგომი მეთვალყურეობის სისტემა.
1.6. განსაზღვრული აქვს თუ არა ცენტრს ბენეფიციარებისათვის ცენტრით სარგებლობის მაქსიმალური ვადა?	- კითხვარი თანამშრომლებისათვის	დოკუმენტები 3.10 თანამშრომლები I - 13, 14, 15	თუ კი, დამატებითი კითხვა უნდა იყოს, რამდენად ხშირად ხდება ამ მაქსიმალური ვადის გადაჭარბება და რატომ.
1.7. ვის და რა სიხშირით ატყობინებს ცენტრი ახალი ბენეფიციარების შემოსვლის და შემოსული ბავშვების სხვა მომსახურებებში მიმართვის შესახებ?	- ახალი მიღების/სხვა უწყებებისადმი მიმართვის ჩანაწერები - კითხვარი თანამშრომლებისათვის	დოკუმენტები 5.1-5.3 თანამშრომლები I – 17, 18	სხვა რეზიდენტული ტიპის დაწესებულებებისაგან განსხვავებით, ცენტრი არ არის ვალდებული რომელიმე უწყებას აცნობოს ახალი ბენეფიციარების მიღების შესახებ. ამოცანაა, განისაზღვროს, მაინც ხდებოდა თუ არა ასეთი სახის ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ის ბენეფიციარები, რომელთაც არ ქონდათ უფლება ცენტრის მომსახურებით სარგებლობისა, გადაყვანილი იყვნენ თუ არა სხვა სამსახურებში.

## 2. ცენტრის ის აქტივობები, რომლებიც ბავშვებისათვის პირდაპირ სამსახურს გულისხმობს

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
2.1. მუშაობს თუ არა ცენტრი იმ მიზნების შესახულებლად, რომელიც ჩამოთვლილია წესდებაში?	<ul style="list-style-type: none"> <li>- ცენტრის წესდება ან მისი ექივალენტი</li> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> </ul>	დოკუმენტები 6.1, 6.2 თანამშრომლები II - 1,2	ამოცანაა, განისაზღვორს ცნობენ თუ არა ძირითადი თანამშრომლები ცენტრის მთავარ მიზნებს
2.2. შესაბამისობაშია თუ არა ცენტრის მიერ შეთავაზებული დონისძიებები მის მიზნებთან?	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუები თანამშრომლებთან</li> <li>- დონისძიებების წერილობითი ჩამონათვალი, განრიგი და აღწერილობა.</li> </ul>	დოკუმენტები 11	მაგალითად, თუ ცენტრის მიზანია სასკოლო სისტემაში ბავშვების რეინტეგრაციას შეუწყოს ხელი, მაშინ დონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი, ერთის მხრივ, ბავშვების სწავლის უნარების გაუმჯობესებას და, მეორეს მხრივ, ბავშვის დაბრუნების მოსამზადებლად მიმღებ სკოლასთან მუშაობას უნდა ეთმობოდეს.
2.3. როგორია მიზნების მიღწევის დონე (წესდებით განსაზღვრული მიზნებისა)? როგორ და რა სისტირით ხდება ამის გაზომვა?	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუები თანამშრომლებთან</li> <li>- მიზნების მიღწევის ანგარიშები (თუ არსებობს)</li> </ul>	დოკუმენტები 6.1, 6.2	ამოცანაა, განისაზღვროს, 1) აქვს თუ არა ცენტრს ინდიკატორების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მიზნების მიღწევის დონე, 2) თუ არსებობს, არის თუ არა ეს ინდიკატორები კონკრეტული, გაზომვადი, მიზნეწების შესატყვისი და დროში განსაზღვრული, 3) იცნობენ თუ არა თანამშრომლები ამ ინდიკატორებს; 4) როგორ და რა სისტირით ხდება მათი გაზომვა.
2.4. რამდენი ბავშვი წევებს დონისძიებებში მონაწილეობას მათ დამთავრებამდე და რატომ?	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუები თანამშრომლებთან</li> <li>- ბენეფიციართა სიები</li> <li>- ფოკუს-ჯგუფი ბენეფიციარებთან</li> </ul>	დოკუმენტები 3.11-3.13	თუ დონისძიებები თითოეული ბენეფიციარი ბავშვის საჭიროებებზე არის მორგებული, მაშინ მიტოვების/შეწყვეტის მაჩვენებელი უმნიშვნელო უნდა იყოს. ცენტრის დონისძიებებში მონაწილეობის ვადაზე ადრე შექვევების მიზეზები შეიძლება დაგვეხმაროს დონისძიებების გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრაში. თუმცა, თუ ცენტრი ემსახურება ქუჩის ბავშვებს, მიტოვების ფარდობითია შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე სხვა ტიპის მოსახლეობის მომსახურე დაწესებულებებში. დასკავლების გაკეთებისას ეს ფაქტორიც უნდა იყოს გაივალისწინებული.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
2.5. ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის რა მექანიზმები არსებობს ცენტრში?	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუები თანამშრომლებთან</li> <li>- არსებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები (თუ არსებობს)</li> </ul>	დოკუმენტები 7.	<p>ეს თემა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: 1) ბავშვების დაცვა უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობითავის საშიში ქმედებებისაგან/შემთხვევებისაგან; 2) ბავშვის კუთვნილი საგნების დაცვა; 3) პროცედურები ბავშვის გაუჩინარების/დაკარგვის შემთხვევებისათვის, 4) პირადი მონაცემების დაცვა, 5) ძალადობის, უგულებელყოფისა და ექსპლუატაციისაგან დაცვა; 6) ქცევის მართვა. საკითხების სრული ჩამონათვალისათვის იხილეთ „ეროვნული მინიმალური სტანდარტები ოჯახის დამხმარე მომსახურებისათვის“ (გრძელი ვერსია), სტანდარტები 7-15 და 23.</p>
2.6. მუშაობა ოჯახებთან ა) ბენეფიციარი ბავშვების ოჯახებთან მუშაობის რა მექანიზმები გამოიყენება მათი რეინტეგრაციისათვის? ბ) როგორია 2006 წელს ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების პროპორცია (ბავშვების სრული რაოდენობა / რეინტეგრირებული ბავშვების რაოდენობასთან)?	<ul style="list-style-type: none"> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> <li>- ფოცეს-ჯგუფები</li> <li>- ოჯახებთან</li> <li>- ჩანაწერები ბენეფიციარების შესახებ (თუ არსებობს)</li> </ul>	3.14, 3.16 თანამშრომლები II - 3, 4, 5,	<p>თუ ცენტრის მთავარი მიზანია ბავშვების ოჯახებთან რეინტეგრაცია, მაშინ დონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ოჯახებთან მუშაობას უნდა ეთმობოდეს. მუშაობის მეთოდები შეიძლება იყოს დაწყებული ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციები ( ფსიქოსოციალური, იურიდიული, სხვა) სახლში ან ცენტრში, დამთავრებული პრაქტიკული მხარდაჭერით, სხვა სამსახურებში მიმამართვებით, ცენტრის დონისძიებებში ოჯახების ჩართვით და ა.შ. ყვლა იმ ბავშვისათვის, რომლის ოჯახში დაბრუნება შესაძლებელია, უნდა არსებობდეს დონისძიებები, რომელთა ფარგლებში ხდება ბავშვისა და მისი ოჯახის წევრების ერთად თავმოყრა მხარდაჭერ გარემოში, რომლის მიზანია პრობლემების გადაწყვეტა.</p>

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეცასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
2.7. დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები ა) რა მექანიზმები გამოიყენება ბენეფიციარებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის განსავითარებლად? ბ) როგორია 2006 წელს ბენეფიციარების მიერ წარმატებული დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების მაჩვენებელი (ის ბავშვები, რომლებიც წავიდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად/ ბავშვების სრული რაოდენობა)?	<ul style="list-style-type: none"> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის ს</li> <li>- ფოკუს ჯგუფები ბავშვებთან</li> <li>- ჩანაწერები ბენეფიციარების შესახებ (თუ არსებობს)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ა) თანამშრომლები II – 7, 8</li> <li>ბ) დოკუმენტები 3.15</li> </ul>	<p>დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები ყველა ბავშვისათვის მოიცავს ყველა იმ უნარს, რომელიც აქვთ ოჯახში გაზრდილ ბავშვებს, როგორიცაა რეცხვა, დასუფთავება, საყიდლების გაცემება, ან საკუთარი თავისთვის საჭმლის მომზადება. 16 წლის და მეტი ასაკის ბავშვებისათვის, დამატებითი დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი დაკავშირებულია პროფესიასა და დასაქმების შესაძლებლობებთან. ცენტრი უზრუნველყოფს ასეთ კავშირებს, მაგრამ გაურკვეველია, დასაქმება უწოდს თუ არა ხელს ბენეფიციარის დამოუკიდებლად ცხოვრებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდებ, ის ბენეფიციარები, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა, კვლავ ცენტრში ცხოვრობენ თუ ეტაპობრივად ტოვებენ მას.</p>

### 3. ტრენინგები და ადამიანური რესურსების საკითხები

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
3.1. რამდენი თანამშრომელი ყავს ცენტრს?	<ul style="list-style-type: none"> <li>- პირადი საქმეები</li> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუ დირექტორთან</li> </ul>	დოკუმენტები 8.5, 8.6	<p>დაყოფილი ასაკის, სქესის, განათლების/პროფესიული უნარების და ცენტრში მათი როლის მიხედვით (მენეჯმენტი/ადმინისტრაცია, ბავშვებზე მზრუნველობა, დამხმარე ფუნქციები).</p>

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეცასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგჟები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
3.2. როგორია ცენტრში ახალი თანამშრომლების მიღების პროცედურები?	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუ დირექტორთან</li> <li>- თანამშრომელთა აყვანის ჩანაწერები</li> </ul>	დოკუმენტები 8.2	განსახილვები საკითხებია: ტენდერის პროცედურა (თუ არსებობს), პროფესიული მოთხოვნები ახალი თანამშრომლებისათვის, ახალი თანამშრომლების აყვანის პროცესის ეტაპები (როგორიცაა: ვაკანსიის გამოცხადება, სამუშაო განაცხადების შეგროვება, კანდიდატების გადარჩევა, ინტერვიუები, გამოცდილებისა და რეკომენდაციების შემოწმება და ა.შ) და წარსული გამოცდილების შემოწმების პროცედურები
3.3. არის თუ არა თანამშრომელთა მოვალეობები მკაფიოდ განსაზღვრული?	<ul style="list-style-type: none"> <li>- თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობა</li> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> </ul>	დოკუმენტები 8.3 თანამშრომლები III- 1,2	ხშირად, სამსახურში თანამშრომელთა ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ეს იწვევს უნარების და დროის არაჯეროვან გამოყენებას, რადგან რამოდენიმე ადამიანი ასრულებს ერთსა და იმავე დავალებას, მაშინ, როცა სხვა დავალებები არავისზე არ არის განაწილებული. აუცილებელია: 1) გაკეთდეს ცენტრის ძირითადი ფუნქციების ჩამონათვალი 2) მიესადაგოს ფუნქციები თანამშრომელთა თანამდებობებს.
3.4. აქვთ თუ არა ცენტრის თანამშრომლებს საგმარისი ტრენინგი (ცოდნა) საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის?	<ul style="list-style-type: none"> <li>- პირადი საქმეები</li> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> </ul>	დოკუმენტები 8.4 თანამშრომლები III- 3, 4	ეს კითხვა აუცილებელია იმის გადასამოწმებლად, საგმარისად კომპეტენტური არიან თუ არა თანამშრომლები იმ დავალებების შესასრულებლად, რომელიც განსაზღვრულია მათ სამუშაოს აღწერილობაში. ამოცანაა, შევხედოთ მათ განათლებას და რა ტრენინგები გაიარეს ცენტრში მუშაობის დაწესებამდე. მხედველობაში მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ტრენინგები— მაგალითად, ბუღალტერისათვის ტრენინგები დაკავშირებული უნდა იყოს ბუღალტერისათან, ხოლო მზრუნველისათვის – ბავშვის მოვლის საკითხებთან.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგჟები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
3.5. ჩატარდა თუ არა ტრენინგები? რა სპეციფიურ თემებზე?	<ul style="list-style-type: none"> <li>- ტრენინგის დოკუმენტაცია (თუ არსებობს)</li> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> </ul>	დოკუმენტები 8.4 თანამშრომლები III- 3, 4	<p>ამ კითხვის მიზანია, დადგინდეს, ატარებს თუ არა ცენტრი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს თანამშრომლებისათვის, რასაც შეუძლია საპასუხოდ გაზარდოს მომსახურეობის ხარისხი. შესაბამისად, თითოეულ თანამშრომელს ჩვენ ვეკითხებით მხოლოდ იმ ტრენინგების შესახებ, რომელშიც მათ მიიღეს მონაწილეობა ცენტრში მუშაობის პერიოდში.</p> <p>გათვალისწინებული უნდა იქნას მხოლოდ დაკისრებულ მოვალეობებთან დაკავშირებული ტრენინგები.</p>
3.6. ეფექტურად ხდება თუ არა ცენტრის ადამიანური რესურსების გამოყენება?			
<ul style="list-style-type: none"> <li>- თანამშრომლებისა და ბაგჟების თანაფარდობა</li> <li>- ბენეფიციართა სია</li> <li>- თანამშრომელთა სია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბენეფიციართა სია</li> <li>- თანამშრომელთა სია</li> </ul>	დოკუმენტები 2.2 - 2.4 & 8.5, 8.6	<p>სასურველი ფარდობა თანამშრომლებისა ბენეფიციარებთან მოცემულია დოკუმენტში: „ეროვნული მინიმალური სტანდარტები ოჯახის დამხმარე მომსახურებისათვის“ (გრძელი ვერსია), სტანდარტი 20. ამოცანაა, გავარკვით, ცენტრში, ისევე, როგორც ბევრ სხვა საცხოვრებელ დაწესებულებაში, ძალისა დიდი ხომ არ არის თანამშრომელთა რაოდენობა ბენეფიციარებთან მიმართებაში.</p>
– თანამშრომელთა სამუშაო საათები	<ul style="list-style-type: none"> <li>- თანამშრომელთა კონტრაქტები</li> <li>- თანამშრომელთა ტაბელი</li> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> </ul>	დოკუმენტები 8.8 - 8.10 თანამშრომლები III – 5	<p>რამდენი თანამშრომელი მუშაობს სრულ განაკვეთზე და რამდენი ნახევარ განაკვეთზე? ემთხვევა თუ არა ეს მათ სამუშაო საათებს? (40 საათი კვირაში სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლისათვის, ამის ნაწილი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლისათვის)?</p>

#### 4. მენეჯმენტი/ ცენტრის დირექტორთა საბჭო ან მისი ექვივალენტი

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების	სახელმძღვანელო პრინციპები
--------	--------------------	---------------------------------	---------------------------

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგშები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

		ნომერი	
4.1. როგორია ცენტრის მენეჯმენტის სტრუქტურა?	<ul style="list-style-type: none"> <li>- ცენტრის წესდება</li> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუ დირექტორთან</li> <li>- კითხვარი თანამშრომლებისათვის</li> </ul>	დოკუმენტები 9.1, 9.2ბ თანამშრომლები IV – 1,2	<p>ამოცანაა, დადგინდეს 1) ვინ იდებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, და 2) როგორია ანგარიშგების გზები.</p>
4.2. ჩამოყალიბებულია თუ არა ცენტრის დირექტორთა საბჭო (ან ექვივალენტი)?	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუ დირექტორთან</li> </ul>	დოკუმენტები 9.1, 9.2	<p>დირექტორთა საბჭო (ან მისი ექვივალენტი, როგორიცაა მრჩეველთა საბჭო, ზედამხედველთა საბჭო და ა.შ.) შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია. იგი საშუალებას იძლევა, საბჭოს წევრების კოლექტიური ექსპერტიზა გამოყენებულ იქნას მომსახურეობის ოპერაციების შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებისას.</p> <p>ამოცანაა, დადგინდეს არსებობს თუ არა ასეთი სტრუქტურა ცენტრში და, თუ არა, როგორია გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი.</p> <p>თუ აასუხი ამ კითხვაზე არის არა, გამოტოვეთ კითხვენი 4.3-დან 4.7-მდე და გადადით მუ-5 სექციაზე.</p>
4.3. როგორია საბჭოს ამჟამინდელი წევრების წარსული გამოცდილება?	<ul style="list-style-type: none"> <li>- დირექტორთა საბჭოს წევრების პირადი საქმეები (თუ არსებობს)</li> </ul>	დოკუმენტები 9.2ა	
4.4. შედიან თუ არა საბჭოში ბენეფიციარი ბაგშები და მათი ოჯახის წევრები?	<ul style="list-style-type: none"> <li>- ჩანაწერი დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის შესახებ (თუ არსებობს)</li> </ul>	დოკუმენტები 9.2	
4.5. რა სიხშირით ტარდება შეხვედრები?	<ul style="list-style-type: none"> <li>- დირექტორთა საბჭოს შეხვედრების ჩანაწერები (თუ არსებობს)</li> </ul>	დოკუმენტები 9.2ბ	
4.6. რა ხდება შეხვედრებზე?	<ul style="list-style-type: none"> <li>- დირექტორთა საბჭოს შეხვედრის ჩანაწერები (თუ არსებობს)</li> </ul>	დოკუმენტები 9.2ბ	
4.7. სრულდება თუ არა საბჭოს მიერ მიღებული	<ul style="list-style-type: none"> <li>- სტრუქტურირებული ინტერვიუ</li> </ul>		

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგჟები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გადაწყვეტილებები?	დირექტორთან	
-------------------	-------------	--

## 5. ფინანსური საკითხები

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
5.1. როგორ ხდება ცენტრის ფინანსური რესურსების გამოყენება?	- ხარჯების დოკუმენტაცია 2007 წლის იანვარ-მარტისთვის	დოკუმენტები 10.2, 10.3, 10.4, 10.6, 10.7	ამოცანაა, დადგინდეს არსებობს თუ არა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ფინანსური რესურსების ხარჯვის სათანადაო დოკუმენტები. სათანადო დოკუმენტები უნდა მოიცავდეს: ქვითოვებს ყველა დანახარჯზე, პერიოდულ (სულ მცირე, კვარტალური) ფინანსურ შეჯამებებს და ფინანსურ ანგარიშებს.
5.2. ფინანსების უმეტესი ნაწილი ეთმობა თუ არა ცენტრის უმთავრეს მიზნებს?	- შემოსავლების დოკუმენტაცია 2006 წლის იანვრიდან	დოკუმენტები 10.5, 10.9	იდეალურ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს საპროექტო განაცხადი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება თუ რას იზამს ცენტრი მიღებული ფულით. შემოსავლები მოიცავს ისეთ პუნქტებს, როგორიცაა: პირდაპირი ფინანსური დახმარება, არაფორმალური მატერიალური დახმარება, როგორიცაა საკვები, აღჭურვილობა, ტანსაცმელი, სამშენებლო მასალები, მასალები ღონისძიებებისათვის, და ა.შ. დროის კონტრიბუცია (მოხალისება) და ა.შ.
5.3. რა თანხა იხარჯება თითოეულ ღონისძიებაზე?	- ხარჯების დოკუმენტაცია 2007 წლის იანვარ-მარტისთვის	დოკუმენტები 10.8	ეს მოიცავს: კომუნალურ ხარჯებს (ელექტროენერგია, გაზი, წყალი, ა.შ). მაგალითი: ცენტრში შეიძლება ფუნქციონირებდეს პროფესიული კურსები, რომლებიც ტარდება სულ ხუთი თოასიდან ერთ-ერთში. შესაბამისად, შენარჩუნების ხარჯების 20% დაიხარჯება პროფესიული კურსების შენარჩუნებისათვის. ასევე: ღონისძიებაში მონაწილე ყველა თანამშრომლის ხელფასი, მასალები/აღჭურვილობა, ღონისძიების ჩასატარებლად აუცილებელი სხვა საგნები.
5.4. რა რაოდენობის თანხა იხარჯება დებულებით განსაზღვრული თითოეული მიზნის მისაღწვევად?	- ხარჯების დოკუმენტაცია 2007 წლის იანვარ-მარტისთვის	დოკუმენტები 10	ეს არის 5.3. კითხვაში გათვალისწინებული მონაცემების შეჯამება. მაგალითად, თუ ერთი მიზანი არის პროფესიული სწავლება და კავშირი დამსაქმებელთან შედარებით უფრო ასაკოვანი ბენეფიციარი ბაგჟებისათვის, ხარჯები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ჩამონათვალს, როგორიცაა: კურსები ცენტრში, გარე ტრენინგ-ღონისძიებები, შეგიოდობა, ტრანსპორტის ხარჯები, კონსულტაციები ბენეფიციარებისათვის,

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეცასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

		ტრენინგი დამსაქმებლებისათვის და ა.შ.
--	--	--------------------------------------

## 6. მოსაზრებები ცენტრის შესახებ

კითხვა	გადამოწმების გზები	შესაბამისი კითხვის/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
6.1. ხელმისაწვდომია თუ არა ცენტრის საქმიანობა ბენეფიციარი ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის?	- ფოქუს ჯგუფები ბავშვებთან - ფოქუს ჯგუფები ოჯახებთან		ხელმისაწვდომობა ნიშნავს სპეციფიკური საკითხების ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებებისათვის მისადაგებას, როგორც ეს განსაზღვრულია „ეროვნული მინიმალური სტანდარტებში თვალის დამხმარე მომსახურებისათვის“ (გრძელი ვერსია), სტანდარტი 3. განხილვები ბავშვებთან და ოჯახებთან ფოქუს ჯგუფებში საბოლოო ჯამში უნდა შეიცავდეს კითხვას, თუ სად ხედავენ ისინი ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის პოტენციურ არეალს.
6.2. შეესაბამება თუ არა ღონისძიებები მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს?	- ფოქუს ჯგუფები ბავშვებთან - ფოქუს ჯგუფები ოჯახებთან	თანამშრომლები V – 1, 2, 4	ამოცანაა, დადგინდეს: 1) არსებობს თუ არა ბენეფიციარი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებისა და ინტერესების რეგულარული კვლევის მქანიზმები, როგორიცაა ინტერესების პერიოდული გამოყითხვა, განხილვა ფოქუს ჯგუფებში, ინდივიდუალური კითხვარები და ა.შ. 2) როდესაც ბენეფიციარი ბავშვები და მათი ოჯახები გამოხატავენ სპეციფიურ ინტერესს და/ან საჭიროებას, ფიქრობენ თუ არა ისინი, რომ ამას მოყვება შესაბამისი რეაგირება, ისე, რომ ხდება მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება შემოთავაზებულ აქტოვობებში.
6.3. როგორ და რა სისტემით ხდება ბენეფიციარი ბავშვებისა და მათი ოჯახების აზრის გამოკითხვა? კმაყოფილნი არიან თუ არა ისინის ცენტრის საქმიანობით?	- ფოქუს ჯგუფები ბავშვებთან - ფოქუს ჯგუფები ოჯახებთან - კითხვარი თანამშრომლებისათვის	თანამშრომლები V – 2	კითხვა თრი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი ეხება ბენეფიციართა უკუკავშირის შეგროვების რეგულარულ მქანიზმებს, როგორიცაა შეხვედრები, გამოკითხვები, კითხვარები, უკუკავშრის ფორმები ან ანონიმური წერილების ყეთი. კითხვის მეორე ნაწილი ამ უკუკავშირის შედეგებს ეხება. იდეალურ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ბენეფიციართა უკუკავშირის ფორმალური ჩანაწერები.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეცასება - დანართები ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პითხება	გადამოწმების გზები	შესაბამისი პითხების/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
6.4. საკმარისი გავლენა აქს თუ არა ბავშვებისა და მათი ოჯახების აზრს ცენტრის დაგეგმარებაზე?	- ფოკუს ჯგუფები ბავშვებთან - ფოკუს ჯგუფები ოჯახებთან - კითხვარი თანამშრომლებისათვის	თანამშრომლები V – 1 - 4	იდეალურ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ცენტრის საქმიანობის მოკლე და გრძელ-გადიანი გეგმები, იმის აღნიშვნით, მონაწილეობდნენ თუ არა ბენეფიციარები ამ გეგმის შემუშავებაში. ამოცანაა, დაგინდეს, გამოკითხულები ფიქრობენ თუ არა, რომ მათი აზრი აისახა ცენტრის სამომავლო გეგმებში.
6.5. თანამშრომელთა აზრით, რამდენად კარგად ფუნქციონირებს ცენტრი?	- კითხვარი თანამშრომლებისათვის	თანამშრომლები V – 5 - 9	ეს კითხვა ეხება თანამშრომელთა აზრს მენეჯმენტის შესახებ და უნდა ასახავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა თანამშრომელთა წარმოდგენა ადამიანური რესურსების მართვის, ღონისძიებების ჩასატარებლად რესურსებისა და თანხების ხელმისაწვდომობის, სამსახურით ქმარისა და ცენტრის მისიასთან მისი სამსახურების შესაბამისობის, ამ მომსახურების მდგრადობის შესახებ.
6.6. თანამშრომელთა აზრით, რა პრობლემები აქვს ცენტრს?	- კითხვარი თანამშრომლებისათვის	თანამშრომლები V – 10	ეს კითხვა უნდა დაისვას გაუმჯობესების პოტენციური არეალის და არა არსებული პრობლემების გასახილველად.

## 7. ინფრასტრუქტურა

პითხება	გადამოწმების გზები	შესაბამისი პითხების/დებულების ნომერი	სახელმძღვანელო პრინციპები
7.1. დაცულია თუ არა ცენტრში სანიტარული და უსაფრთხოების კველა ნორმა?	- ინსპექციის ჩანაწერები - პირდაპირი დაკვირვება - ფოკუს ჯგუფები ბავშვებთან	დოკუმენტები 12 ცენტრი – ყველა	იხილეთ არსებული სანიტარული და უსაფრთხოების ნორმები რეზიდენტული ტიპის დაწესებულებებისათვის. ასევე, ამ საკითხთან და შესაბამის კითხვებთან დაკავშირებით, იხილეთ „ეროვნული მინიმალური სტანდარტები ოჯახის დამხმარე მომსახურებისათვის“ (გრძელი ვერსია) სტანდარტები 8-9, 14-18, 27 და 34.
7.2. იძლევა თუ არა შენობა ბენეფიციარი ბავშვების სქესისა და ასაკის მიხედვით	- პირდაპირი დაკვირვება - ფოკუს ჯგუფები ბავშვებთან	თანამშრომლები VI – 1 - 3 ცენტრი 1.16	

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეცასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგჟვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გადანაწილების საშუალებას?	- კითხვარი თანამშრომლებისათვის		
7.3.მიეროდება თუ არა ცენტრს წყალი და ელექტროენერგია; აქვს თუ არა საქმარისი გათბობა და ვენტილაციის სისტემა?	- პირდაპირი დაკვირვება	ცენტრი 3,19,20	
7.4.საქმარისია თუ არა სიგრცე ცენტრის ყველა ბენეფიციარის განსახლებისა და მათი საკუთრებისა და პირადი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის?	- პირდაპირი დაკვირვება - ფოკუს ჯგუფები ბაგჟვებთან - კითხვარი თანამშრომლებისათვის	ცენტრი 18 თანამშრომლები VI – 4	

### დანართი 3 – ინფორმაციული დაკვირვების ცხრილი

ცენტრის დასახელება: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

1.1	შენობაში არის ტელეფონი მუშა მდგომარეობაში	პი	არა
1.2	ელექტროგაერთიანების უსაფრთხოა (არ შეიმჩნევა შიშველი სადენები, დია ჩამრთველები, და ა. შ.)	პი	არა
1.3	ცენტრში მოდის წყალი	პი	არა
1.4	ტუალეტები სუფთაა	პი	არა
1.5	ტუალეტებში საქმარისი რაოდენობით არის ტუალეტის ქაღალდი	პი	არა
1.6	სააბაზანო ოთახები სუფთაა	პი	არა
1.7	სააბაზანო ოთახებში საქმარისი რაოდენობით არის საპონი	პი	არა
1.8	გამოყოფილია უსაფრთხო ადგილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ გარეცხონ ტანსაცმელი	პი	არა
1.9	ცენტრში არის საშუალებები (ადგილი და მოწყობილობა) ლოგინის თეთრეულის, პირსახოცებისა და სხვა ნივთების გასარეჩად.	პი	არა
1.10	ცენტრში არსებობს განახლებული პირველი დახმარების კომპლექტი	პი	არა
1.11	ცენტრში გამოყოფილია ცალკე ოთახი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც დაავადებულნი არიან ინფექციური დაავადებებით ან სხვა ისეთი დაავადებებით, რის გამოც საჭიროა მათი სხვა ბავშვებისაგან განცალკევება	პი	არა
1.12	სამზარეული და სამზარეული მოწყობილობები სუფთაა	პი	არა
1.13	სამზარეულოში არის ცხელი წყალი	პი	არა
1.14	არსებობს მუშა მდგომარეობაში მყოფი მაცივარი საკვების შესახახად	პი	არა
1.15	სამზარეულოს ნარჩენები (ნაგავი) ინახება ცალკე კონტეინერში	პი	არა

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

1.16	საწოლ თოასებში საწოლების რაოდენობა მერყეობს ————— დან (უმცირესი რაოდენობა) ————— მდე (უდიდესი რაოდენობა)		
1.17	ბავშვების ლოგინის თეთრეული სუფთაა	კი	არა
1.18	სამინებელ თოასებში გამოყოფილია ადგილი ბავშვების პირადი ნივთების შესანახად	კი	არა
1.19	გათბობის სისტემა მუშაობს (შემოწმების მომენტისათვის ის თბილია)	კი	არა
1.20	ცენტრი კარგად ნიავდება	კი	არა
1.21	ცენტრი კარგ მდგომარეობაშია (გარემონტებულია)	კი	არა

## დანართი 4 – დოკუმენტაციის შემოწმების ცხრილი

ცენტრის დასახელება: \_\_\_\_\_ თარიღი: \_\_\_\_\_

### 1. ცენტრის წესდება ან მისი ექვივალენტი

1.1	დოკუმენტი მითითებულია, თუ რა ასაკის ბავშვებს უნდა მოქმედოს ცენტრი	დიახ	არა
1.2	თუ ასაკი მითითებულია, ბენეფიციარი უნდა იყოს — დან — მდე წლის.		
1.3	დოკუმენტი მითითებულია, რომ ცენტრი განკუთვნილია ქუჩის ბავშვებისათვის	დიახ	არა
1.4	თუ არა, ადნიშნულ დოკუმენტი ბენეფიციარი ბავშვების აღსაწერად რა ტერმინები გამოიყენება? - _____ - _____ - _____		
1.5	დოკუმენტი ჩამოთვლილია ცენტრის მიერ დასახული მიზნები	დიახ	არა
1.6	თუ დიახ, დოკუმენტი ჩამოთვლილი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნებია: - _____ - _____ - _____		
1.7	დოკუმენტი განსაზღვრავს ცენტრის მენეჯმენტის სტრუქტურას	დიახ	არა
1.8	თუ დიახ, გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირი (პირები) არის (არიან) : - _____ - _____ - _____		

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

1.9	ამ დოკუმენტში განსაზღვრულია ანგარიშგების გზები	დიახ	არა
1.10	თუ დიახ, ანგარიშგების გზები შემდეგია:		
	ა) _____ ანგარიშვალდებულია _____-თან		
	ბ) _____ ანგარიშვალდებულია _____-თან		
	გ) _____ ანგარიშვალდებულია _____-თან		
1.11	დოკუმენტში განსაზღვრულია ცენტრში ბაგვის ყოფნის მაქსიმალური ვადა	დიახ	არა
1.12	თუ დიახ, ცენტრში ბაგვის ყოფნის მახიმალური ვადა არის — წელი.		

## 2. ბენეფიციართა სიები

2.1	არსებობს დღიური დასწრების ჩანაწერები										დიახ	არა
2.2	თუ დიახ, 2007 წლის 1 იანვრიდან შემთხვევით არჩეული 10 დღისათვის დასწრების რაოდენობა შემდეგია:											
	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	თარიღი:	საშუალო (Σ÷10)	
	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №	ბაგვების რაო დენობა №		
2.3	არსებობს ბენეფიციართა ყოველთვიური სიები										დიახ	არა

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2.4	თუ დიახ, 2007 იანვარ-მარტის მდგომარეობით, ციფრები შემდეგია:			
	იანვარი 2007	თებერვალი 2007	მარტი 2007	საშუალო ( $\Sigma \div 3$ )
	ბავშვების რაოდენობა	ბავშვების რაოდენობა	ბავშვების რაოდენობა	
2.5	2006 წლის იანვრიდან არსებობს ბავშვთა რაოდენობის წერილობითი ჩანაწერი		დიახ	არა
2.6	თუ დიახ, დაფიქსირებული წლიური ბენეფიციარების რაოდენობაა —————.			
2.7	ბენეფიციართა სიები იძლევა სქესის მიხედვით დაყოფის შესაძლებლობას		დიახ	არა
2.8	ბენეფიციართა სიები იძლევა ასაკის მიხედვით დაყოფის შესაძლებლობას		დიახ	არა
2.9	ბენეფიციართა სიები 2006 წლის იანვრიდან იძლევა იმის დადგენის საშუალებას, თუ რამდენმა ბენეფიციარმა მიატოვა ცენტრი		დიახ	არა
2.10	თუ დიახ, 2006 წლის იანვრიდან ცენტრიდან ვადაზე აღრე წასული ბავშვების ჯამური რაოდენობაა —————			

### 3. ჩანაწერები ბენეფიციარების შესახებ (ინდივიდუალური საქმეები ან მისი ექვივალენტი)

3.1	ინდივიდუალური ჩანაწერები არსებობს ახლანდელი ბენეფიციარი ბავშვებისათვის	დიახ	არა
3.2	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ცენტრის ამჟამინდელი ბენეფიციარების ათი (10) შემთხვევით არჩეული ჩანაწერი (2006 წლის იანვრის შემდეგ წარმოებული) აჩვენებს, რომ ბენეფიციარი ბავშვები შეესაბამებიან ცენტრის ასაკობრივ მოთხოვნებს	დიახ	არა
3.3	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ცენტრის ამჟამინდელი ბენეფიციარების 10 შემთხვევით არჩეული ჩანაწერი (2006 წლის იანვრის შემდეგ წარმოებული) აჩვენებს, რომ ბავშვები მოვიდნენ ქუჩიდან.	დიახ	არა
3.4	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ცენტრის ამჟამინდელი ბენეფიციარების ათ (10) შემთხვევით არჩეულ ჩანაწერში (რომელიც წარმოებულია არა უგვიანეს 2006 წლის იანვრისა) ჩამოთვლილია ბავშვების საჭიროებები (პრობლემები)	დიახ	არა
3.5	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ცენტრის ამჟამინდელი ბენეფიციარების ათი (10) შემთხვევით არჩეული ჩანაწერი (წარმოებული 2006 წლის იანვრის შემდეგ) აჩვენებს, როგორ მოხვდნენ ბავშვები ცენტრში (მიმართვის წყაროები)	დიახ	არა
3.6	თუ 3.5 კითხვაზე პასუხია „დიახ“, მიმართვის ყველაზე გავრცელებული წყაროებია: —————		

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თაგვესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები  
ფედერაცია „გადაგრძინოთ ბაგვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

	- -	
3.7.	თუ 3.5 კითხვაზე პასუხია „დიახ“, მიმართვის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:	
	- -	
3.8.	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ათ შემთხვევით არჩეულ ჩანაწერში (რომელიც წარმოებულია არაუგვიანეს 2006 წლის იანვრისა) განსაზღვრულია ბაგვებისათვის ჩარევის მიზნები	დიახ არა
3.9.	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ათ შემთხვევით არჩეულ ჩანაწერში (რომელიც წარმოებულია არაუგვიანეს 2006 წლის იანვრისა) ნაჩვენებია ახლანდელი ბენეფიციარების მიღების თარიღი	დიახ არა
3.10.	თუ 3.8 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ბენეფიციარი ბაგვები რჩებიან ცენტრში შემდეგი ხანგრძლივობით: ————— წლიდან (უმოკლესი) ————— წლამდე (ყველაზე ხანგრძლივი)	წლიდან (უმოკლესი) ————— წლამდე
3.11.	2006 წლის იანვრიდან არის ————— (მიუთითეთ რაოდენობა) ბაგვის ჩანაწერი, რომელთაც ცენტრი ვადაზე ადრე დატოვეს.	დიახ არა
3.12.	თუ 3.10 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ჩანაწერში ჩამოთვლილია მიტოვების/ცენტრიდან წასვლის მიზეზები	დიახ არა
3.13.	თუ 3.11 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:	
	- -	
3.14.	2006 წლის იანვრიდან არის ————— (მიუთითეთ რაოდენობა) ბაგვის ჩანაწერი, რომლებიც რეინტეგრირდნენ ოჯახებში	დიახ არა
3.15.	არის ————— (მიუთითეთ რაოდენობა) ბაგვის ჩანაწერი, რომლებმაც "დაამთავრეს" ცენტრი (დატოვეს ცენტრი რათა დაქწყოთ დამოუკიდებელი ცხოვრება – მუშაობა, სწავლა, დაოჯახება, ა.შ.) 2006 წლის იანვრის შემდეგ	დიახ არა
3.16.	თუ 3.1 კითხვაზე პასუხია „დიახ“, ცენტრის ამჟამინდელი ბენეფიციარების 10 შემთხვევით არჩეული ჩანაწერი (წარმოებული 2006 წლის იანვრის შემდეგ) აჩვენებს ბაგვების ოჯახებთან გაწეულ სამუშაოს.	დიახ არა

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

#### 4. მიღების/გაწერის წერილობითი კრიტერიუმები

4.1	მიღების კრიტერიუმები არსებობს წერილობითი ფორმით	დიახ	არა
4.2	თუ დიახ, ბენეფიციართა მიღების კრიტერიუმებია:		
	- _____		
	- _____		
	- _____		
4.3	თუ 4.1. კითხვაზე პასუხია „დიახ“, დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ ვინ იღებს მიღების გადაწყვეტილებებს	დიახ	არა
4.4	თუ 4.3 კითხვაზე პასუხია „დიახ“, მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:		
	- _____		
	- _____		
	- _____		
4.5	გაწერის კრიტერიუმები არსებობს წერილობითი ფორმით	დიახ	არა
4.6	თუ დიახ, ბენეფიციართა გაწერის კრიტერიუმებია:		
	- _____		
	- _____		
	- _____		
4.7	თუ 4.5 კითხვაზე პასუხია „დიახ“, დოკუმენტი განსაზღვრავს, თუ ვინ იღებს გაწერის თაობაზე გადაწყვეტილებას	დიახ	არა
4.8	თუ 4.7 კითხვაზე პასუხია „დიახ“, გაწერის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:		
	- _____		
	- _____		
	- _____		

#### 5. ახალი ბენეფიციარების მიღების / სხვა მომსახურებებში მიმართვის ჩანაწერები

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება - დანართები ფედერაცია „გადავარჩინოთ ბაგშეები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

5.1	ახალი ბენეფიციარების მიღების ჩანაწერები 2006 წლის იანვრიდან არსებობს	დიახ	არა
5.2	არსებობს ცენტრის მიერ შესაბამისი უწყებებისადმი (მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტრო) ახალი ბენეფიციარების მიღებების შესახებ ანგარიშის ჩანაწერები	დიახ	არა
5.3	2006 წლის იანვრიდან მზრუნველობის სხვა დაწესებულებებში (ცენტრის გარეთ) მიმართვის ჩანაწერები არსებობს	დიახ	არა

## 6. მიზნების შესრულების ანგარიში

6.1	არსებობს 2006 წლის იანვრის შემდეგ მომზადებული წერილობითი ანგარიში ცენტრის მიერ მიზნების მიღწევის შესახებ	დიახ	არა
6.2	თუ არსებობს, ანგარიშში ჩამოთვლილია ინდიკატორები, რომელთა მიხედვით მოხდა მიღწევების გაზომვა.	დიახ	არა

## 7. ბაგშვთა უსაფრთხოების, უშიშროებისა და დაცვის პოლიტიკის დოკუმენტები

7.1	ცენტრს გააჩნია ბაგშვთა უსაფრთხოებისა და უშიშროების პოლიტიკა წერილობითი დოკუმენტის სახით.	დიახ	არა
